# ხელშეკრულება 11/04

ქ. თბილისი 28 აპრილი 2016წელი

შპს "ქლაუდ ცხრა", მისი დირექტორის თეონა მარტაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ხოლო მეორეს მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა მისი გამგებლის გიორგი ლობჟანიძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ინტერნეტ სივრცე "მიმწოდებლის" კუთვნილი ვებსაიტის (**oni.gov.ge**) განსათავსებლად (მომსახურება). სივრცის მოცულობა და ტექნიკური პარამეტრები აღწერილია დანართში. (CPV-72413000)

## 2. მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 26 მაისიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 მარტამდე

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 27 იანვრამდე.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით და ამავე ხელშეკრულების დანართი#1-ით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება.

3.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს ინტერნეტ სივრცის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

3.3 „შემსყიდველი" ვალდებულია დროულად გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხა ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3.4 ,,შემსყიდველი" ვალდებულია. დაიცვას "მიმწოდებლის" მიერ დაწესებული მომსახურების წესები და პირობები.

3.5 "მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას ავტომატურ რეჟიმში შეუწყვიტოს "შემსყიდველს" სერვისის მიწოდება კონტრაქტის 4.3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში.

3.6 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (3.4 პუნქტის გარდა) მეორე მხარე უგზავნის მას წერილობით დასაბუთებულ შეტყობინებას დარღვევის მითითებით და მისი აღმოფხვრის მოთხოვნით.

## 4. ანგარიშსწორება

4.1 აღნიშნული სამუშაოს ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 6 (ექვსი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 48 (ორმოცდარვა) ლარს დღ-ს ჩათვლით.

4.3 ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად,ფაქტობრივად მოწოდებული მომსახურების შესაბამისად,ინვოისის საფუძველზე, მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

## 5. ფორსმაჟორული გარემოებები

5.1 არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

5.2 ფორსმაჟორულ გარემოებად ჩაითვლება კატასტროფის, სტიქიური უბედურების, საომარი მოქმედების შედეგად ძირითად საშუალებებზე გამანადგურებელი (მთლიანი ან ნაწილობრივი) ზემოქმედება.

## 6. პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და ასეთი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

6.2 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა), იგი ვალდებულია, შემსყიდველს აუნაზღაუროს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი სრული სახელშეკრულებო ღირებულების ოდენობით.

## 7. დავის გადაჭრა

7.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებებს, ყველა ღონე იხმარონ ნებისმიერი წამოჭრილი სადავო საკითხის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტისათვის.

7.2 თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, საქმე განსახილველად გადაეცემა შესაბამის სასამართლო ინსტანციას.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია:

8.1.1 „შემსყიდველის" მიერ ცალმხრივად, კონტრაჰენტისათვის ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 9. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

9.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

9.2 მხარეთა რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები გადადის მათ უფლებამონაცვლეებზე.

9.3 ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ამ ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ დროს მხარეების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"მიმწოდებელი"

შპს "ქლაუდ ცხრა"
ს/კ: 405063755

იურიდ. მისამართი : ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში,ნუცუბიძის ქუჩის IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი N7)

ბანკის დასახელება: სს "თიბისი ბანკი"
ანგარიშწორების ანგარიში:
GE59TB7050436080100004

ტელ.:557365714; 2424002

„შემსყიდველი"
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1

ტელ.: 551 55 04 03

ს/კ 237978275

ანგ. № GE24NB0330100165022

სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ. TRESGE22

დირექტორი
თეონა მარტაშვილი

გამგებ[illegible]
[illegible]

ხელშეკრულება #CL-15027, დანართი # 1

| | |
|---|---|
| მომსახურების აღწერა | ჰოსტინგი დომენისთვის: (oni.gov.ge) |
| | 1გბ |
| მომსახურების პაკეტი მოცულობა | 1 |
| საიტების რაოდენობა | 2 |
| პარკირებული დომენი | |
| მომსახურების ყოველთვიური ღირებულება | 6 ლარი |
| მომსახურების საერთო ღირებულება | 48 ლარი |